# რუბიკონი

ქვირეული ორგანო

სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირი

№ 7 — ქვირა 11 მარტი 1923 წ.

მისამართი: ტფილისი. ხელოვნების სასახლე სერგ. ქ. № 13 ტელ. 17—51

კანტორა—პუშკინის პასსაჟი ტელ. № 4—08

ფასი 10 ათასი მან


## ქართული ჟურნალი

ეს მაშინ იყო, როცა საქართველო პირველად იღვიძებდა ახალი კულტურისთვის. მოგონება ამ დროსი, მიუხედავად ამისა, რომ საუკუნეც კი არ გვაშორებს მისგან დღეს თითქო დაუჯერებელია.

მაშინ, როცა საქართველოში მკითხველები თითზე დაითვლებოდენ და ნიკოლოზ ბარათაშვილი ოჯახებში კითხულობდა ლექსებს, როცა მოსაკითხი ბარათების წერის გარდა დავიწყებული იყო მწერლობა იმ ერის, რომელმაც განიცადა რუსთაველი და მთაწმინდელები, პირველად მაინც დაარსებული იყო ჟურნალი „ცისკარი“... შეიძლება ითქვას, რომ ივანე კერესელიძე ჩვენ დღეშიაც უნდა ითვლებოდეს გმირად, რადგან მოახერხა ის რასაც დღესაც ჩვენდა სამარცხვინოთ ვერ ახერხებს ქართული მწერლობა.

ასეთ შემთხვევაში ბედს და წინგანზრახვას აქვს თავის ინერცია. „ცისკარს“ უპასუხა ილია ჭავჭავაძემ ჟურნალით „საქართველოს მოამბე“ შემდეგ იყო ჟურნალი „იმედი“ ნიკო, ნიკოლაძეს ჰქონდა თავისი ჟურნალი დიდი ტანისა „კრებული“, აკაკი წერეთელსაც, კი, რომელიც თავს პეპელას ადარებდა ჰქონდა თავის ჟურნალი „აკაკის კრებული“, რომელშიაც სხვათაშორის დაიბეჭდა ნახევარზე მეტი ქართული ზეპირ სიტყვაობის, ამაზე უსათუოდ უნდა გაჩერდეს ისტორია.

პირველი ევროპიული სტილის დიდი ჟურნალი იყო ილია ჭავჭავაძის „ივერია“ ეს სიტყვა ისე ისმის XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიაში, როგორც არც ერთი სახელი.

მე XIX საუკინის დასასრულში და ჩვენ საუკუნის გადასავალშიც გამოდიოდა დიდი ჟურნალი „მოამბე“ ალ. ჭყონიასა და ალექსანდრე ჯაბადარის თაოსნობით. ვინც გადაიკითხავს ამ ჟურნალს დარწმუნდება, რომ იმ დროს შედაოებით ეს დიდი კულტურის მაჩვენებელი ამბავი იყო. აქ იბეჭდებოდე თარგმანები: თ. დოსტოევსკის, პ. იბსენის-ბალზაკის, ზოლასი, ვიკტორ ჰიუგოს პოლ ბურჟეც კი. აქ იბეჭდებოდენ წერილები ევროპის მწერლობის უკანასკნელ შკოლებზე, უცხოეთის პოლიტიკის მიმოხილვას აწარმოებდა ნიკო ნიკოლაძე, აქ დაიწყეს თავის კარიერა: დავით კლდიაშვილმა და შიო არაგვისპირელმა.

და ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინ, როცა მწერლობა არ არსებობდა როგორც პროფესია, როცა ცარიზმი ანადგურებდა ყოველივე ჩანასახს ეროვნული კულტურასას.

და განა დღეს ქართული საზოგადოების, ქართული მწერლობის, და საქართველოს მთავრობათა თავმოყვარეობის საკითხი არ უნდა იყოს რომ საქართველოში არსებობდეს ერთი დიდ ტანიანი ჟურნალი.

დღეს თავი რომ დავანებოთ რ. ს. ფ. ს. რ. გამომცემლობას, სადაც ასობით ითვლებიან ასეთი ჟურნალები, სადაც მარტო პუშკინისტების გამოკლევანი აავსებენ ბიბლიოთეკებს, რუსეთის ემიგრანტებიც ახერხებენ Русская Мысл“ ისთან დიდი ჟურნალების გამოცემას. საზღვარ გარეთ შიმშილობის და მათხოვრობის დროს.

ჩვენ რასაკვირველია ვიცით მისტიკა სტატისტიკის და ამ შემთხვევაში შედარებაც არ შეიძლება, რუსეთის და საქართველოს მაგრამ. როგორ მოხდა ის რომ საქართველოს რომელიც ყველაფერს მოელოდა რევოლუციიდან და მთელი თაობები ეწირებოდენ უანგაროთ ამ იდეას, დღეს როცა მეექვსე წელი შესრულდა რევოლუციის ეს უბრალო საქმეც კი ვერ გაგვიკეთებია, თავი რომ დავანებოთ უფრო დიდ მიზნებს, როცა საქართველოს მუზეუმებში ობით იღრღნება ისეთი ხელნაწერები, რომელნიც გაზრდიდენ ახალ თაობას, იმ ახალ თაობის რომელიც შექმნის პირველ დღეს გრძნობს თავს, ისე არის მოკლებული მშობლიურ კულტურის ყოველივე მიღწევას.

ეს ყველაფერი აუხსნელია. მით უფრო რომ ქართველი ერი არასდროს არ ყოფილა ისე გამძაფრებით დაწაფებული შემოქმედებას, მწერლობა ასე რიცხვით მაინც გამრავლებულია და საქართველოს მთავრობას წინადაც და ეხლაც განაგებენ ისეთი პირები, რომელნიც თვითონ არიან მწერლობის პროფესიონალები.

იქნებ ვინმემ სთქვას, რომ არსებობენ ისეთი თვიური ჟურნალები: როგორც „მეოცნებე ნიამორები“, „ხომალდი“ და ან სხვა რომელიმე, მაგრამ ეს ჟურნალები არიან ფრაქციების, ზოგი მათგანი როგორც „მეოცნებე ნიამორები“ შეგნებულად იცემა პატარა სახით, რადგან დღეს ევროპაშიც კი გადავიდენ მებრძოლი ლიტერატურული ჯგუფები პატარა ჟურნალებზე... მაგრამ სამაგიეროთ ლიტერატურის ისტორიის პლასტები დიდ ჟურნალში იყრიან თავს.

პირადად ჩვენც წინაამდეგი ვართ ოფიციალ დიდ ტანიან ჟურნალის, რომელიც ყოველთვის კონსერვატორული ყოფილა და იქნება, ისე როგორც წინაამდეგი ვიქნებოდით აკადემიის, რომ ის არსებობდეს ჩვენში... მაგრამ წინაამდეგობას აქვს აზრი მაშინ, და ბრძოლასაც აქვს აზრი მაშინ, როცა ებრძვი რამეს რაც დაფუძნებელია რაც წარმოადგენს ძალას და კულტურის დანაშთენს.

მართალია მარრინეტი, როცა ებრძვის მუზეუმების კულტურას, მაგრამ ვაი იმ ერს და მის მწერლობას რომელსაც ეს მუზეუმი და ისტორია არ აქვს.

ამიტომ ჩვენი ახალი მწერლობის კავშირის ორგანო, რომელიც გამოცემის მეორე დღესვე შესაძლებელია ოპოზიციაში ჩაუდგეს ამ ჟურნალს მაინც მომხრე და დამცველი იქნება იმის, რომ ეროვნული და მწერლობის თავმოყვარეობისთვის არსებობდეს ეს ჟურნალი, რომელშიაც დაიბეჭდებიან მასალები და დოკუმენტები ქართული კულტურის და მწერლობისა, რომელსაც უსათუოდ აქვს თავის დიდი ისტორია.

როგორც ვიცით სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს ეს ჟურნალი: ლიტერატურის, თეატრის მუსიკის და მხატვრობის. თუ მან ეს მიზანი ვერ შეასრულა მაშინ ეს კომიტეტი იქნება ფიქცია და ვერ გაამართლებს თავის არსებობას, ჩვენ გვგონია რომ სწორეთ ასეთი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს და თუ ეს ვერ გაკეთდება მაშინ მისი მორალური ავტორიტეტი გაუქმებულად ჩაითვლება.

ვარამ გაგელი.

## ილია ჭავჭავაძის ხელნაწერები.

15 წელმა განვლო ტრაგიულ 1907 წლიდან და ეხლა მაინც დრო არის, რომ ილია ჭავჭავაძის სახელს შესაფერი პატივი მიეზღოს ქართული მწერლობისგან. მწუხარებით აღსანიშნავია, რომ დღემდის არ მოგვეპოვება მწერალის ბიოგრაფია და სრული კანონიერი ტექსტი.

ამასთან ერთად დიდ შესწავლას მოითხოვს: პოეტიკა, სტილი, პოეტური მატერიალი, ფონი ლიტერატურული ეპოქის, ასევე ლიტერატურული ტრადიციები და საერთოდ პოეტის სრული სახე.

ილიას დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა მწერლობის წინაშე, და ამიტომაც მან ყოველი თავისი მსხვილი ნაწარმოების რამდენიმე ვარიანტი დაგვიტოვა („აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ყაჩაღთა ცხოვრებიდან“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია—ადამიანი?“ და სხ.)

სამწუხაროდ მისი ვარიანტები არ არი შესწავლილი და შეიძლება შიშიც გამოვსთქვათ, რომ მრავალი მათგანი დაკარგული იყოს. (მაგ. ცენზურისაგან დაჭერილი უკანასკნელი ვარიანტი ილიას „აჩრდილის“, რომელიც არსად არ აღმოჩნდა.)

ამ მხრივ, სამწუხაროდ ერთად ერთი და ძვირფასი—გედევანიშვილის გამოცემა აკადემიურობით ძალიან სუსტია და ვერ შეიძლება დამაქმაყოფილებლად ჩავთვალოთ: შეუსწავლელი ტექსტი, გამოტოვებული ლექსები უკანასკნელი, პერიოდის სრულიად შეუფერებელი შრიფტი („ლირიკა“) და ჭრელი სურათები უფრო საიუბილეო ალბომს მოგვაგონებენ ვიდრე მეცნიერულად შემუშავებულ სერიოზულ გამოცემას.

ამ ვარიანტების შეუსწავლელობის გამო არეულია ნაწარმოებთა თარიღებიც; და არა თუ არეული ჯერ კიდევ პრობლემაა სწორედ იმ ოფიციალურ თარიღს ეკუთნის თუ არა მაგ. „აჩრდილი“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ.?

ამით ერთხელ და საბოლოოდ უნდა გამოირკვეს, მართალია თუ არა ერთი ჯგუფის ყიჟინი, როდესაც ილიას ყოველ გამოსვლებს უწოდებენ „ბრძოლას ბრძოლის მერე“ და მის მწერლობას ბანკისა და ბანკირობის ნაყოფად.

დამახასიათებელია ისიც რომ ყოველს ლიტერატურულ პოლემიკის დროს ილიაში ადამიანი ჩრდილავს პოეტს; და როცა მთელი წიგნები გამოდიოდა და იმართებოდა ცხოველი საგაზეთო კომპანიები ილიას დამოკიდებულებაზე სა გურამოს გლეხებთან, არც ერთი საგაზეთო ფელეტონიც არ დაწერილა ილიას ლექსის და პროზის ტეხნიკაზე, რასაკვირველია, ეს იყო სრული ნიშანი მწერლობის და საზოგადოების უკულტურობის

დღეს, როცა ხუთმეტი წელი გასულია მის სიკვდილიდან ოფიციალური კრიტიკა მივალეა შეუდგეს მისი ნაწერების და პიროვნების ყოველ ნაირი შესწავლას.

უპირველესი ყურადღება კი უნდა მიექცეს, რათა მომავალ „სრულ თხუზულებათა გამოცემაში“ სრულად აღსდგეს ყველა ნაწერების ტექსტი და კანონი.

გასულ წელს გარდაიცვალა ი. ჭავჭავაძის თხუზულებათა გამომცემელი და დიდი პატივისმცემელი ექ მიხ. გედევანიშვილი. მისი სიკვდილის მერე ჩვენ არ ვიცით რა ბედში იმყოფება მის არქივში დატოვებული მასალები, ტექსტები და სურათები, რომლებიც იყო შემზადებული მომავალ II და III ტომებისათვის.

მწერალთა კავშირები ეხლავე უნდა შეუდგნენ ამ გაბნეულ მასალების შემოკრეფას და გადმოტანას ხელოვნების სასახლეში, სადაც შეიძლება მოეწყოს ჭავჭავაძის მუზეუმი.

გიორგი ლეონიძე

## ლონდას დადგმა.

„ლონდა“ სავსეა მიწის ნოყიერებით და მზის სურნელებით, მაგრამ მარჯანიშვილის დადგმაში პიესა ჰკარგავს თავის რეალურ ხასიათს და ევლინება მაყურებელს, როგორც სემირამიდის ბაღი, დაკიდებული ციდან. ეს უთუოდ მარჯანიშვილის საკუთარი ხაზია: ყველა მომქმედ პირებს თვალები და სახეები აწეული აქვთ და მიპყრობილი ზეცისათვის. ხალხმა დაჰკარგა თავისი იმედი და ზეცას უნდა შეაცოდოს თავი.

მე ვნახე კოტე მარჯანიშვილი გენერალურ რეპეტიციაზე: ის იყო ულმობელი, როგორც რომელიმე სატრაპი, როგორც ოლოფერნი... როდესაც ჩვენს წინაშე გაიმართა სპექტაკლი, მარჯანიშვილი არ მოსჩანდა, მაგრამ ის იყო უხილავი და ყველგან მყოფი ღმერთი პიესის, ის იყო მბრძანებელი სადღასაი, რომლის მაგიურ სახელს ყველა ემორჩილება.

ტყვილად არ ჰქვია ამ პიესას მისტერიის სახელი: „ლონდა თავიდან ბოლომდის გამართლებულია, როგორც მისტერია მხოლოდ და იმას არ მოეთხოვება ის რაცსავალდებულოა „ჟანრიულ“ დრამისათვის.

პიესაში არის მომენტები უმაღლესი სილამაზის, თუმცა პიესაში არ არის არც ერთი ვულგარული ხაზი: ლონდა უკვე გამეტებული სიკვდილისათვის— მღვდელ მსახურებს მიჰყავთ ანთებულ სანთლებით უფსკრულისაკენ—ეს სამგლოვიარო კორტეჟი საშინელია და მშვენიერი.

არის ერთი მომენტი, სადაც მარჯანიშვილის რეჟისორული ფანტაზია და ინტელექტი გენიალურია: ეს ის მომენტია როდესაც ლონდა მაღალი კიბით მიჰყავთ სასჯელის ადგილისაკენ. თითქო ანგელოსებს მიჰყავთ ლონდა სამოთხის მაღალ ბაღებში. აქ კ. მარჯანიშვილმა თითქო აისრულა თავისი ნატვრა: თავის წერილში „ლონდაზე“ ის ნატრობდა, რატომ გრიგოლ რობაქიძემ არ აისროლა მზის უფსკრულში ლონდა და გაიმეტა ის მიწის უფსკრულისათვის.

ლილლეს სიმღერა, როდესაც ლონდას სანთლებით მიაცილებენ, არის მომენტი დაუვიწყარი და დიდი მშვენიერების. მტკიცდება, რომ „ლონდა“ გრანდიოზული მისტერიაა, რომელიც, როგორც ურაგანი უარყოფს ყოველდღიურობის ნირვანას.

უნდა ვიყოთ ღირსი ამ მისტერიის, უნდა ვიყოთ ღირსი ლონდას მსხვერპლის.

დანაური-ლონდა უთუოდ სტოვებს შთაბეჭდილებას თავისი თამაშით. ამ შემთხვევაში ჩვენს წინ იყო ლონდაბავში, ლონდა საბედისწერო, როგორც ჟანნა დარკ. ლონდა მოწყენილი და ტრაგიული, როგორც დეზდემონა. მე მომაგონდა ტიციან ტაბიძის და თვით გრიგოლ რობაქიძის თქმა იმის შესახებ, რომ „ლონდა“ არის ბავშის ალკას (რომელიც შეიწირა მზემ) სანაცვლოდ დაწერილი პიესა. დონაურმა შექმნა ლონდა ნაღვლიანი, ლონდა სამშობლოსათვის თავგამეტებული; შეიძლება უყურადღებოთ დარჩა ლონდა აფროდიტა, ლონდა ავხორცობის სიმბოლო. თვითონ ლონდა ნამდვილი სიმბოლოა და უფრო ნაკლებათ კონკრეტიული სახე. ლონდა-დონაური თავისი მიხდენილი ტანით და ტანსაცმელით ნამდვილი ლონდა იყო, თავისი ხმით წამებული დეზდემონა, შეიძლება იუდიფი.

დავითაშვილმა შეასრულა თავისი როლი ენერგიულად. როდესაც ის ეთხოვება მამას და მაღალ კიბეზე მიდის— იბადება წუთი ნამდვილი ტრაგედიის. საუცხოვო იყო მისი მანტია, გაფითრებული სახე და ანდროგინის ხმა. ჩვენ მადლობის გრძნობით ვიგონებთ დავითაშვილს—მეფის შვილს.

ლამბაშიძე—ჭეშმარიტი ქურუმია— უფრო ქრისტიანული, ვიდრე წარმართული.

აკაკი ვასაძე—პოეტი ოთარი—ღირსია განსაკუთრებული ყურადღების. მას ხელს უწყობს ყველაფერი: მოყვანილობა, ხმა, ცეცხლის მფრქვეველი თვალები. მისი როლი არ არის დინამიური, მაგრამ ის შეუდარებელი ნიუანსებით ამბობს პოეტის მონოლოგს. აღსანიშნავია მისი დიქცია.

მეფე—ხორავა კითხულობდა დიდის მჭერმეტყველებით. მისი ხმა მდიდარია ინტონაციებით. უკვე შეიძლება ითქვას, რომ ხორავა ქართული სცენის მაგარი იმედია.

მასსიური სცენები ცალკე განხილვას მოითხოვენ, ისინი იყვნენ დადგმული რიტმის ახალი პრინციპით. აღსანიშნავია ვერე ჯიქია-ნამდვილი რომაელი, რომელიც თითქო მეთაურობდა ხოროს მასსიურ სცენას ასრულებდენ. მხოლოდ მამაკაცები. ქალი იყო ერთი მე მგონია ეს შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამაზე შემდეგ.

პაოლო იაშვილის თქმით ლონდას პირველ წარმოდგენაზე იყო მხოლოდ ერთი ლოზუნგი: „ლონდა“, და ეს ლოზუნგი ისმოდა როგორც „ერნანი“.

გამრეკელის დეკორაციები იდგა. როგორც დიდი შუადღე.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

## მისტერია „ლონდა“

### გრიგოლ რობაქიძის

რუსთაველის თეატრი: 27 თებერვალი

**დადგმა კოტე მარჯანიშვილის**

ამ დღეს რუსთაველის თეატრი არ აგავდა თავის თავს. ჩვენ თითქო მივეჩვიეთ თეატრში არ ველოდეთ ნამდვილ დღესასწაულს, მაგრამ კოტე მარჯანიშვილის მაგიური ხელი ჩვენ თვალის წინ ახდენს სასწაულს სასწაულზე. „ცხვრის წყარო“-ს დადგმა მართალია იყო თავის დამაბრუებელი გამარჯვება რეჟისორის და ქართველი არტისტების --მაგრამ სულმოკლე ფილისტერები მაინც უმატებდენ: ნუ დაივიწყებთ, რომ ისპანია ლოპედევეგას თავისთავად იძლევა ფერადების და ტემპერამენტის გამარჯვებასო.

27 თებერვალს რუსთაველის თეატრში წარმოდგენ ქართველი დრამატურგი, რეჟისორი და არტისტები საკუთარი შემოქმედებით.

მართალია გრიგოლ რობაქიძის „ლონდა“ შარშან იყო რუსულ სცენაზე დადგმული და დიდათაც გაიმარჯვა, მაგრამ ქართველი საზოგადოებაც ამ ღამეს ამ სასწაულის მოლოდინით მოვიდა თეატრში. ქართულ თეატრს მართლა არ ახსოვს ჯერ ამდენი ხალხი თეატრში და უფრო ბევრი კიდევ უკან დაბრუნდა.

ყველას ინტრიგას იწვევდა გრიგოლ რობაქიძე და კოტე მარჯანიშვილი.

და უნდა ითქვას მართალი, რომ ამ დღეს მოხდა თვალის ახელა ხალხის, ქართველი საზოგადოება ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ჩვენ დღეშიც შესაძლებელია სასწაული მართლაც ვისაც ახსოვს შარშანდელი და წრევანდელი სეზონი კოტე მარჯანიშვილამდე თავის თავს არ უჯერის რომ შეიძლება ასე ზღაპრული გარდაქმნა და გამარჯვება. გადაიხადა ფარდა და მოსჩანს თვალის დამაბრმავებელი მზის ფონი. მხატვარ ირაკლი გამრეკელს, რომელიც ჯერ კიდევ ყრმაა არ დაუზოგავს თავი; მისი დეკორაციები თითქო პავლე კუზნეცოვის დაწერილია, თვალს სჭრის მზის ვლვარება, საღებავების გადასავალი—ეს თითქო მართლა ცხოვრებაა შეჰქმნის მეორე დღეს.

შესავალი მისტერიის მოცემულია და როგორც ორგანი რეკავს „ლონდა“-ს გაჭედილი სიტყვა. ასანიშნავია რომ ამ დღეს რამდენიმე ახალგაზრდა არტისტი სცდიდა თავის თავს და დებიუტი ბენეფისად გადაიქციეს.

მშვენიერი იყო აკაკი ვასაძე მგოსანი ოთარის როლში, შეუდარებელი გიორგი დავითაშვილი ბატონიშვილის თამაზის ამსრულებელი, მეფე ხორავას ისეთი ხმა აღოაჩნდა, რომ მარტო ამის აღმოჩენა გაამართლებდა ერთ წარმოდგენას. ჩვენ გულს სიხარული ავსებს იმის ანიშვნით, რომ კოტე მარჯანიშვილი ამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას უხსნის გზას და სამუდამოთ უტოვებს თეატრს.

მასიურ სცენებში ერჩევიან: ვ. ჯიქია, ნ. გვარამე, ვ. არაბიძე. ქურუმთა ქურუმის როლში ახალგაზრდა მსახიობი ლამბაშიძე, მოამბე დავით ჩხეიძე, ჭადაგი პ. კორიშელი. წარმოდგენა ისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ტემპით მიდის, რომ თვალი ვერ იჭერს დეტალებს — ყველაფერი გადადის ერთ მოჭრილ ლოდის გადავარდნაში. მაგრამ გვირგვინი წარმოდგენის იყო ლონდა — ქ-ნი ელენე დონაური ვაჩნაძე. მართალია ლონდას როლი მისტერიაში არ არის მთავარი როლი, მაგრამ პიესის დადგმას აქამდე უშლიდა, რომ ლონდა არ იყო ქართულ სცენაზე.

ავტორმა და რეჟისორმა თავიანთი არჩევანი ე. ვაჩნაძეზე გააჩერეს და არჩევანი გამოდგა დიდებული. ლონდა რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის თქმით არის მზის ქურუმი. აქ ყველაფერია ქალის ტანი და ტემპერამენტი. ამიტომ იყო, რომ ნიკიშის ხელის დაქნევის მაგიით თეატრი დაიპყრო ვაჩნაძის ქალმა. ოქროს თმები, რომელიც გადადის ცეცხლში, და ზღაპრული ალის ტანის სითეთრე და მოყვანილობა ჰქმნიდა ამ შინაგან მუსიკას, რომელსაც არ სჭირდება სიტყვა. პირადათ მე თითქო ამ ღამეს ვხედავდი ალისა კორწენს, რომელსაც მარიუს პეტიპას შემდეგ ღმერთი ასწავლიდა გიმნასტიკას და კაპრიზს.

ელენე დონაური ვაჩნაძე ჰქმნიდა ამ ილუზიას. ლონდა ამ ღამეს მოკვეთილი იყო როგორც ხოზე მარია ერედიას სონეტი. კოტე მარჯანიშვილზე რა უნდა ითქვას...

აქ კონგენიალურად შეხვდენ ერთმანეთს ავტორი და რეჟისორი და როგორც მისტერიის სადღესაიმ დააფიცეს ქართულ თეატრს ახალი ყოფნა.

გაუმეორებელია ის წამი, როცა ლონდა ქურუმის მოთხოვნით უნდა შეეწიროს მსხვერპლად, როცა ვერც ერთი ახალგაზრდა ვერ ასრულებს დავალებას და ფეხქვეშ უვარდება ლონდას, დაბრმავებული სილამაზით, როცა თვითონ თამაზი მიდის თავის მკლელობისთვის. ამ ცერემონიალს წინ უძღვის სვანური მზის ჰიმნი „ლილე“, რომელსაც იმეორებდა ვლადიმერ სოლოვიოვი, რომელიც იყო გატაცებული ამ გენიალურ მზის ათვისებით და რომელიც მელიტონ ბალანჩივაძიდან იცნობდა ამ ჰიმნს. აქ რომ ორკესტრი ყოფილიყო და უფრო მეტი ხალხი სცენაზე მომღერალი თეატრი ქრუანტელით გატყდებოდა.

პირადათ მე რაც უნდა ზედმეტად არ მიმაჩნდეს ჩემი შენიშვნა კოტე მარჯანიშვილისადმი, დაუმატებდი რომ საზოგადოთ წარმოდგენა მოიგებდა, რომ მასიურ სცენებს მეტი ყურადღება ჰქონოდა მიქცეული და სცენაზე მეტი ხალხი ყოფილიყო, განსაკუთრებით ქალები, ამის გარდა.

არ შეიძლებოდა ორკესტრის მოხსნა. „ლილე“ უორკესტროთ ჰკარგავს თავის ნახევარ სიდიადეს. რამდენადაც მე შევამჩნიე ხალხზე ამ წარმოდგენამ ისეთი ჩდაბეჭდილება მოახდინა, რომ თითქო მოულოდნელად ზვავი დაეცა თავზე — აქ ვერ ბედავდენ უარყოფის სიტყვის თქმას, ისინიც ვინც ამისთვის იყვენ მოსული თეატრში. მეორე წარმოდგენა: „ცისფერი ობობა“ შარლ ვან ლერბერგის იყო დადგმული უდიდესი სილამაზით და მზრუნველობით. მშვენიერი იყო დეკორაციები მხატვარ ვალერიან სიდამონ-ერისთავის, მშვენიერი იყვენ: გიორგი დავითაშვილი, ნ. გოცირიძე და ხუციშვილი.

შესაძლებელია ეს იყოს ნამდვილი თეატრი. მართალია მუსიკა ცოტათი უშლიდა ხელს პიესაზე დაყრდნობას,

ამ ღამეს ისეთი ჩდაბეჭდილება იყო თითქო ვიღაც პირანეზზე უფრო ფანტასტიურმა არქიტექტორმა რუსთაველის თეატრი გადაიტანა პარიზში, ისე არ აგავდა ეს კამერული დადგმა ტფილისის ცნობილ დადგმებს.

კოტე მარჯანიშვილისთვის კომპლიმენტი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ მან თეატრის ისტორიაში საზოგადოთ შეჰქმნა თავის პერიოდი, მისგან გამოდის საუკეთესო რუსული კამერის თეატრი, რომელიც ეხლა მბრძანებლობს რუსეთში, მაგრამ უნდა ითქვას მთელი პასუხისმგებლობით, რომ კოტე მარჯანიშვილმა არათუ პერიოდი, შეჰქმნა ქართულ თეატრში, პირდაპირ იხსნა ეს თეატრი სიკვდილიდან. ეს არის უდიდესი ეროვნული საქმე, რომელიც ჩვენ მოსწრებაში ვისმეს გაუკეთებია. და აქ ის მართლა გამოდის ეროვნულ გმირის როლში.

წარმოდგენის შემდეგ გამართულ იყო ბანკეტი. რომლის თავმჯდომარეთ და თამადათ არჩეულ იქნა პაოლო იაშვილი.

სიტყვები სთქვეს და მათზე სიტყვები: გრიგოლ რობაქიძემ, კოტე მარჯანიშვილმა, კოტე მაყაშვილმა, პავლე ინგოროყვამ, ვალერიან გაფრინდაშვილმა სოლომონ ახვლედიანმა,

აკაკი ვასაძემ, ნინო დავითაშვილმა და ტიციან ტაბიძემ,

იყო ნათქვამი დაუვიწყარი სიტყვები, რომელსაც შეუძლია შეჰქმნას უკანასკნელი ინტიმობა არტისტებისა და პოეტების.

ტიციან ტაბიძე.

# ბიბლიოგრაფია

Шиповник № 1

კრებული ძველ ლიტერატურისა და ხელოვნების. გამოცემა: მოსკოვში. სახელები საინტერესონი.

ლექსები: სოლოგუბის, კუზმინის, ახმატოვის, ხოდასევიჩის. არც ერთი გულისხმიერი. წყალი მრავალი. უსისხლობა. რიტმი არ მოიგრაგნება უძლეველი ნაპირგადასული.

მოთხრობები: ზაიცევის, ნიკიტინის, ლეონოვის, პარერნაკის. ერთადერთი ახალი: მანერა წერის. განსაკუთრებით: პასტერნაკის. შენიშვნა: პასტერნაკის მოგრეხა სინტაქსისის ლაკონურ თქმაში უფრო აგძელებს ,,ფსიქოლოგიურ'' ზომას. ეს მას ემჩნევა ლექსებში (— მე მიკვირს, რომ იგი დიდ პოეტად არის მიჩნეული რუსეთში). ასევეა მის მოთხრობებში. მოკვეთილი სიტყვა სხვა გრეხილით უნდა მიდიოდეს. რუსეთში ამ მხრით ყველაზე უფრო მაინც ანდრეა ბელლი რჩება ჯერჯერობით.

წერილები: ბერდაევის, სტეპუნის, მურატოვის, ეფროსის, ვოლსკის.

ბერდაევის წერილი განმეორებაა მის მიერ ძველად თქმულის. ნურავინ იფიქრებს, რომ იგი აქ შპენგლერის გავლენის ქვეშ იყოს. ტემა ცივილიზაციისა და კულტურის დაპირისპირების მას შპენგლერზე უფრო ადრე ჰქონდა გაცნობიერებული. მხოლოდ: ეს წერილი მისი მეტად მოდუნებულია. არ აქვს ძვალი.

დანარჩენ ავტორებში საინტერესოა მეტად სტეპუნ, მისი წერილი ,,ტრაგედია და თანადროულობა'' ხერხემალია კრებულის, რუსეთის უკანასკნელ პოეტებს, მისი აზრით, ახასიათებდათ: სულიერი უდაბნო და მეონიზმი. ნამდვილი ლირიკა არ ყოფილა. მხოლოდ ვლ. სოლოვიოვში იყო ურყევი ონტოლოგიზმი.

შემდგომ ასანიშნავნი არიან: ვიაჩესლავ ივანოვ, ბლოკ და ანდრეა ბელლი. ამათში თუ მოინახება ნამდვილი ლირიზმი, უკანასკნელი კი ტრაგიულია თავისთავად. ტრაგიული მსოფლიო-გზნება არის მსოფლიოს ჭვრეტა არა ადამიანის არამედ ღმერთის თვალით. ძირი ტრაგედიის არის რელიგია (-მითოს). ნამდვილი ტრაგიკოსები სოფოკლი და კალდერონნია. შექსპირი სხვერპლია რეფორმაციის. სოფოკლესათვის აბსოლუტი ბედია, კალდერონისათვის განგება. [illegible] ტრაგედიებში არც პირველია და არც მეორე. სტრუქტურული ფორმები მისი ტრაგედიის: განთავისუფლებული მონები მკვდარი მითოსის. შექსპირს არ აქვს ობიექტიური ფატუმი. უკანასკნელის როლს იქ ასრულებენ ხასიათები გმირების. თანდროული ეპოქა კატასტროფიულია და მით ტრაგიული იყო ომი და არის რევოლიუცია, მაგრამ, რასაც სწერდენ ომზე, იყო „ომის გამო'' (-გარეგნული): არ იყო ტრაგიული შეგნება. გენიალური ქმნილება მსოფლიო ომის იყო მხოლოდ რუსეთის რევოლიუცია. მისი მითიური ავტორები იმ სოლდათების გულებია, რომლებმაც ტრაგიულად განიცადეს ომი. ტრაგიული გმირი გაჩნდა ომის ტეატრზე: რუსეთის რევოლიუცია. აზრი რევოლიუციის იყო: ,,во взрыве всех конечных смыслов войны''. პირველ ხანებში ეს ასეც იყო. შემდეგ კი თანდათან ეშვებოდა ტრაგიული ხაზი. ავტორი გამძაფრებით ავითარებს და ამახვილებს ამ ,,დაშვებას''. რუსეთის ხელოვნება ვერ ,,შველის'' საქმეს: მასში არ არის ტრაგიული ათვისება სინამდვილის. ,,წინადღის'' (канунный) ოთხრობა უკვე შეეჩვია ახალ ტემებს და იძლევა მხოლოდ ზერელედ რევოლიუციონურ ტეხილს. პროლეტარული ხელოვნება ხდება ტენდენციური; ჯერ-ჯერობით არ მოდის ,,შიგნიდან''. ფუტურისტებმა ვერაფერი ისწავლეს. ისინი დარჩნენ ბარბაროსებად, პოზიტივისტებად, ილლიუზიონისტებად. მათ შეუშვეს თავის ხელოვნებაში რევოლიუცია, მაგრამ მხოლოდ გარეგან: რამოდენიმედ სიუჟეტით და რამოდენიმედ აგიტაციით (და არა ტრაგიული შეგნებით). უნდა იხსნას თანადროული სინამდვილე ხელოვნებამ. ეს ხელოვნება იქნები ტრაგიული: არა დაწვლილებული, არამედ მონუმენტალური, არა სიმფოლიური, არამედ ახალ-რეალისტური.

კრებული მდიდარია მიმოხილვებით და ბიბლიოგრაფიებით. საინტერესოა — უკანასკნელი დღეები ტიუტჩევის. მოყვანილია მისი წერილი, რომელიც ნამდვილი წინართქმაა მთელი სულიერი კრიზისის ევროპაში. წერილი თითქო გუშინ არის დაწერილი. შემდეგ ნომერში ჩვენ ამ დაწერილს დავსტამბავთ.

გიგი გოლლენდ.

# საფრანგეთის პოეტები.

## ლოტრეამონ.

**წიგნიდან: ,,Poèsies''.**

— მომისმინე მე, მალდორორ, შეხედე ჩემს სახეს, რომელიც მშვიდია, როგორც სარკე... მე უბრალო მკვიდრი ვარ ლერწამებისა, მაგრამ იმის გამო, რომ შენ გეხები, რადგან ყურადღებას ვაქცევ, მხოლოდ მშვენიერს შენში, ჩემი გონება განათებულია და შემიძლია ლაპარაკი.

მე ვამჯობინებდი არ მქონოდა არც ხელები, არც ფეხები, მომესპო ადამიანი, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიყო როგორც შენ. მე მძულხარ შენ სამუდამოთ.

მშვიდობით, არ იფიქრო კიდევ ერთხელ შენს გზაზე ნახო გომბეშო. შენ ხარ მიზეზი ჩემი სიკვდილის. მე მივდივარ მარადისობაში, რომ გამოვითხოვო შენთვის შენდობა...

**მონოლოგი მალდორორის.**

სულიერი აღელვებანი, მწუხარება, სიმახინჯე, სიკვდილი, გამონაკლისი მორალური ან ფიზიკური, სული უარყოფისა, გაველურება, თვით დაბქდებული გალლიუცინაციები, ტანჯვა, დარღვევა, ძირს დავარდნა, ცრემლები, გაუმაძღრობა, ძალმომრეობა, წამების წარმოდგენა, რომანები, ის, რაც მოულოდნელია, ის, რაც არ უნდა გააკეთო, ქიმიური ახირებანი იდუმალი ძერასი, რომელიც სდარაჯობს გახრწნილ ლეშს, რომელიმე მკვდარი ილლიუზიისას, ადრინდელი და დაუმთავრებელი გამოცდა, ბუნდოვანობა ბაღლინჯოს ქერქით, სასტიკი მონომანია სიამაყის, გულისწასვლის პირველი ზოვარდნა, სიტყვები საფლავებზე წარწერილი, შური, ღალატი, ტირანია, ულმერთობა, გულის მოსვლა, ღვარძლიანობა, აგრესიული გამოსვლები, სიგიჟე, სპლინი, არა უმიზეზო შიში, ახირებული შეჰკრთობა, რომელსაც მკითხველი არჩევდა არ გამოეცადა, გრიმასები, ნერვები, სისხლიანი გამოცდა, რომელთაც ლოგიკა დაჰყავთ დაქანცვამდე, გადამეტებანი, გულწრფელობის უქონლობა, ხერხვა, სალახანობა, ყველაფერი ტრაურული, ბავშის დაბადება, რომელიც სიკვდილზე უარესია, ვნებანი, კლანი რომანისტებისა ნაფიც ვექილთა კატეგორიიდან, ტრაგედიები, ოდები, მელოდრამები, უსაზღვრო საზღვრის გადასვლა, დაუსჯელად ნასტვენი გონება, სოველი ქათამის სუნი, სიმლაშე, ბაყაყები, ცხრაფეხა, სამუმი, უდაბნო, ყველაფერი რაც სომნაბულიურია, საეჭვო, ყველაფერი ღამისა, ძილის მომგვრელი, უძილო, ბალღამიანი, ტიულენის სახის, ორაზროვანი, სუსტგულიანი, სპაზმატიური, ყველაფერი რაც აღძრავს მეძაობას, ანემიური, მრუდე, გერმაფროდიტული, უკანონოთ დაბადებული, ალბინოსები, პედერასტები, აკვარიუმის სასწაულები და ქალი წვერებით, საათები, რომელნიც გატენილნი არიან უხმო სასოწარკვეთით, ფანტაზია, სიავე, ქაჯები, დემორალიზაციის სილლოგიზმები, ტალახი, ის რაც არ აზროვნობს, როგორც ბავში, სასოწარკვეთა, სულიერი საწამლავი, პრინცი სურნელებით გაბრუებული, კამელიას თეძოები, და შაულობა მწერალის, რომელიც მიექანება არყოფნის უფსკრულზე და მხიარული ხმით გამოხატავს თავის თავისადმი ზიზღს, სინდისის ქეჯნა, ცბიერება, ბუნდოვანი პერსპექტივები, რომელნიც ღრღნიან სულს უნახავი კბილებით, სერიოზული მიფურთხება სიწმიდის, ჭიები და მათი შემპარავი ლიტინი, შეშლილი წინასიტყვაობანი. რომელნიც ჰგვანან კრომველის, Mademoiselle მოპენისა და დიუმა შვილის წინასიტყვაობათ, ულონობა, დახსნა, ღვთისუარყოფა, ასფიქსიები, დახრჩობა, სიცოფე... და როცა ჰხედავ ყველა ამ უწმიდურების შეხროვებას, რომელნიც სირცხვილია დაასახელო, მე მგონია დროა, რომ მოხდეს რეაქცია ყველაფერ ამის წინაამდეგ, რაც შეურაცგვყოფს და ასეთი ძალით გვღუნავს მიწასთან...

ტიციან ტაბიძე.

# ალექსანდრე ყაზბეგი.

„მთანი თავ-ჩაჩქნიანები, ფიქრს მისცემიან მწარესა“. ასე იგრძნო ვაჟამ ჩვენი ლეგენდების მთათა ქვეყანა. სამყაროს აქვს თავისი შესაკრები ცენტრები, სადაც გუბდება ის საიდუმლოება, რომელთ შეცნობასაც ეწირება ადამიანთა წყეული მოდგმა. ოკეანე, მთები და მზე. მიტომ არის, რომ პოეზიას ჯერაც არ მოუწყენია ამ თემების გარშემო ტრიალი. მათი მარადისობით არის დაბრმავებული იგი, და როგორც ბრმას, ოკეანე ამ პოეზიას შიგ ითრევს როგორც ნაპირად გარიყულ ქვიშის მსგავსად და ჰკარგავს, მთა ყოველ მოტეხილ კლდის პირით საიდუმლოს აღრმავებს და მზე კი ახუნებს და სწვავს. მიტომ არის, რომ პოეზიას ყოველთვის სჭირდება ტრანსფორმაცია. აქვე იხსნება ის მომენტიც, რომ ჯერ არსად ამ სტიქიათა მძლავრი შესუნთქვა დათრობამდე არ მომხდარა: ეს საბედისწერო გამოცდაა. ქვის ენით უნდა იცოდე ამეტყველება, რომ გიეროგლიფებით მოჭედილ ობელისკებივით შემოქმედება სადარაჯოდ დააყენო ამ საიდუმლოების კართან.

საქართველომ ორ სტიქიასთან შესძლო მისვლა; მზესთან და მთასთან. პირველი — შოთა, მეორე — ვაჟა. მთასთან არის ალექსანდრე ყაზბეგიც, რომელიც ვაჟასთან ერთად გაფიცულ ძმებივით ხელგადახვეულნი არიან ერთ ფოტოგრაფიულ სურათზე.

მეტად ძნელია მთასთან მისვლა, და უფრო ძნელი იქ მისულ შემოქმედების კვლავ მიბრუნება თვით-მიზნური. იქ სულ სხვა სული შეფარებულა. იქ ხალხი ამირანის ამალას ჩამორჩენილებივით, მდევის ნაფეხურებზე არიან აქა-იქ მიმოფანტულნი.

იქ სიცოცხლეც სხვანაირია, და სიკვდილიც თითქოს უფრო ადვილი. იქ ერთგვარი პანთეონია, სადაც ძველი სულის განძეულობა ინახება თამარის საფლავივით.

ვაჟა და ყაზბეგი, ეს ორი პოეტი მივიდნენ მთასთან ხევის დეკანოზებივით, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ვაჟა რელიგიით მივიდა, ყაზბეგი კი — ეთიკით. ვაჟა მთების ჯანყში ჰხედავდა ლაშარს და ლოცულობდა, ყაზბეგი კი მთაში კაცს ეძებდა და აფიცებდა ხანჯალს და ძმობას.

ვაჟას შემოქმედება მეტ წილად ბიოგრაფიულია ამ სიტყვის ღრმა გაგებით; ყაზბეგისა კი — ეტნოგრაფიული, ვულგარობის გარეშე. ეს მათი შემოქმედებითი ბუნებიდან გამომდინარეობს. რელიგიას არ უნდა სხვა ვინმე, მეორე — რელიგია პიროვნების საკითხია. ეთიკა კი მეორესაც გულისხმობს.

იგი საზოგადოებრივი კატეგორიაა. ესთეტიური ღირებულება კი ორივეს თანასწორი აქვთ, თუმც იმავე დროს შეუწონელნი არიან. აქ პატარა გაბრთხილება მსურს, რომ ეტნოგრაფია კვლავ ზერელედ არავინ გაიგოს. ყველაფერი ესთეტიკაში იმდენად ფასობს, რამდენადაც მასში არის ახალი ამეტყველება და ხილვა.

გეოლოგია არაფრით არ არის ესთეტიკასთან დაკავშირებული, მაგრამ კლდის ნატეხი ან მთა და სხ. ესთეტიკამ დაისაკუთრა, როგორც სულ სხვანაირად დანახული და შესაცნობი საგნები. არც ბიოგრაფია არის თავის-თავად ფასის მქონე, ისევე, როგორც ეტნოგრაფია, ანუ ხალხის ბიოგრაფია, თუ მათზე არ შეისვენა შემოქმედებითი სულმა.

განა ეტნოგრაფია არ არის ილიადა და ოდისეა?

ბერძნულ ისტორიოგრაფიისთვის ზევრი მასალებია აქ, და ისტორია იყენებს კიდეც ამ მასალებს, მაგრამ ბრმა ჰომიროს მთელ ქვეყანას გამოჰყურებს თეთრი თვალებით, რომლითაც ის უკვდავებას უცქერის პირის-პირ. ასეთ ეტნოგრაფიას ნახავთ ბევრ დიდ შემოქმედის ქმნილებაში.

ეს ხელოვნებას არა ჰკლავს. პირიქით, ეს სცდის ხელოვანის უნარს. ალექსანდრე ყაზბეგიც ამ მხრივ არის ეტნოგრაფიის პოეტი, და ამ თავისებურ პოეზიით გამოწვეულ ფიქრების გაზიარება მინდა დღეს.

არის ორი გზა ლიტერატურის ისტორიაში განმტკიცებისა. ერთი — ხელოვნური, მეორე ბუნებრივი.

პირველ გზით რეკომენდატორებს მოჰყავთ, ე. ი. შემფასებლებს, მეორე გზით კი უშუალო შეხვედრა ჰხდება შემომქმედის და ხალხისა და უსიტყვო გაგება.

რომელმა გაარჩია ვეფხის ტყაოსანი ესთეტიურად? არავინ. მაგრამ ხალხი მას იცნობს ისეთივე სასოებით, როგორითაც წმ. გიორგის. შოთა რუსთაველს არ ჰყოლია რეკომენდატორი. ის საუკუნეებით მასსას მოჰყავს, და ხელოვნურად შოთას წინააღმდეგაც რომ ალაპარაკდნენ, მასსა შეინახავს თავის მეფარველს და ფარულს. ასეთი ჩუმი მიღება, ჩემის აზრით არის ყველაზე დიდი მიღება.

ალექსანდრე ყაზბეგიც ასეთ მწერალთა რიგს ეკუთვნის. მის შესახებ არაფერი დაწერილა. არავის არ გაურჩევია მისი შემოქმედება ესთეტიურად, არც მისი გმირების დახასიათება ყოფილა ფსიქოლოგიური, პირ-იქით, იყო იჭვი მის პლაგიატობაზეც, მაგრამ ეს ხალხის საქმე არ არის.

ვისაც უნდა — გაირთოს თავი ათასგვარი მოსაზრებებით, ხალხმა იცის ინტუიცია და თაყვანისცემა. ასე შეხვდა ყაზბეგსაც, და უშუალოდ, როგორღაც ჩუმათ, მოხდა ყაზბეგის ლიტერატურულ სამთავროს ცნობა.

ჩვეულებრივი კრიტიკა მეტად ცივია და სქემატიური.

მან იცის ბევრი ზედ-მეტობა, პედანტიზმი და მოუქნელობა. იგი გარედან მხედველია, და მას მუდამ პარალიზაციას უშვრება მიუდგომლობის აკვიატებული აზრი. და ბევრი რამ, რომელიც დაწერილი არ არის, კრიტიკას მეტ წილად შეუმჩნეველი რჩება. პოეზიას კი უმთავრესად ახასიათებს არა ის, რაც მოცემულია, არამედ ის, რაც მოუცემელი დარჩა, რადგან სიტყვა ბევრ რამეს ვერ ტვირთულობს და მხოლოდ სიგნალად რჩება.

პოეზიის დირიჟორი სიტყვას წუხილავად სდევს, და მის დასანახად საჭირო მეექვსე გრძნობა, რომელიც იმით განირჩევა სხვა გრძნობებისგან, რომ იგი ბუნებით არ არის მოცემული. იგი საძიებელია, როგორც ჩვენი ზღაპრების ნატვრის თვალი.

ეს დებულება სხვათა შორის ალ. ყაზბეგის შემოქმედებით მინდა დავამტკიცო.

ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ თანამედროვე მწიგნობრული ესთეტიკა კალეიდოსკოპურ სანახაობას წარმოადგენს. აქ სახეთა სიმრავლის გარდა არის აზრის სიმახვილეც, მსჯელობის ვირტუოზობაც, ილიუსტრაციების მჭრელობაც, არის დიდი ძიებაც. ხშირად განწირულებამდე მისულიც, ყველაფერი არის, გარდა ერთი რაღაცის, რომელიც არ ეტევა სქოლიოში, და ვერცხლის წყალივით სხლტება. ეს არის შემოქმედების სული. „ვაი ჭკუისაგან“. ზედ-მეტმა სიბრძნემ არია გზა, და ესთეტიურ ქვის ძიებამ ხელოვნებაში, მოგვცა ჯერ-ჯერობით გოგირდი, რომელიც ინთება, მაგრამ ცუდ სუნს სტოვებს. ეს სიტყვები უახლოეს ძიებას ეხება ზოგადი მასშტაბით.

დღეს სახელმძღვანელოების დაწერაც კი შეიძლება, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ლექსი, მინიატურა, რომანი, შეიძლება კი არა, არსებობენ უკვე. შეიძლება ყველა ეს გამართული იყვეს ფორმარულად, მაგრამ მაინც არ იყვეს შემოქმედება. და შემოქმედება კი აღმოჩნდეს იქ, სადაც მას არავინ ელოდა. ბევრ ქანდაკებას მე კლდის ზოლი მირჩევნია, რომელშიც სთვლემს დიდი პოტენციალი, და უხილავად გეჩვენებიან შესაძლოებათა მილიარდები. ე. წ. თანამედროვე ესთეტიურ მოთხოვნილებით რომ მივიდეთ ალ. ყაზბეგთან, მისგან ბევრი რამ არ დარჩება. მაგრამ თუ გამოსავალ პუნქტად ის ავიღეთ, რომელიც თანამედროვეობას უსხლტება ხელიდან, ე. ი. შინაგანი დინამიკა, მაშინ ყაზბეგი იშვიათი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან მკაცრად განვსაზღვროთ ეს ორი მომენტი. პირ-იქით, ორივე მხრივ უნდა იყვეს განხილული, რომ ამ დაპირისპირებაში გამოჩნდეს ალ. ყაზბეგის პოეტური ავლა-დიდება.

მივიდეთ გარედან: ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ალ. ყაზბეგი ბუნების მხატვარია. მე კი მგონია, რომ ეს აზრი ძირიანად შემცდარია. ალ. ყაზბეგი მხატვარი არ არის.

აი მაგალითისთვის: ,,სასიამოვნო გამაცოცხლებელი ნიავი, რომელიც განუწყვეტლივ დაჰქრის ამ ადგილებში, უგრილებდა შუბლს და უახლებდა, ულვიძებდა დაღალულ გონებას მოგზაურებს. წმინდა, ანკარა წყაროები ჩამოჩუხჩუხებდა და რაღაცა სიტკბოებით უალერსებდა კაცის ყურს. ჩიტებსაც გაეღვიძათ და ჭიკჭიკით ქებას ასხამდნენ ბუნების ძალას. ყველა ისე რიგად იყო მოწყობილი, რომ კაცს ანატრებდა აქ ჩაქოხდომას, მწვადის შეშიშხინებას და ცოტაოდენ თვალის მოტყუებას“. ეს არავითარი მხატვრობა არ არის. ნ. ბარათაშვილის ,,მორბის არაგვიდან'' თითქოს თავისი სიტყვებით გადმოუცია.

ბუნების დახატვა სხვას ჰქვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოტირილი

როგორც ვეშაპი ამ ქვეყანას ვატარებ მარტო—
ჩემი ვირებიც დაილალა ამდენი ჯაფით.
(ახ, მათ ყროყინში მეწამული ტირის მოცარტი)
ბედმა სიმწარე მოწყურებულს შემასვა ჩაფით.

და ეხლა მთვარის მეშინია მთავარ ანგელოს!
მთავარ ანგელოს რათ წარამართვი ძმა უნაზესი.
შავი კალია მინადგურებს სიზმრების მდელოს.
მთავარ ანგელოს! თითქო გულში ბუდობს უნასი.

სოფლის შარაზე დარჩენილი ვით შაშვის ბარტყი—
შენი სახელით ბნელ ღამეში ვებრძოდი ქაჯებს.
მაგრამ შურდული დამიზნებულს ველარ გავარტყი,
ვერც ვასკვლავები გაუჩინე ოცნების კაჟებს.

და სიყვარულით დამეხილი მეც დავიღუპე—
მაახლოებდა კარმელის ლანდს ზარები კვირის.
ოქროს პეპლებით მას მოწყენილს გაევსო უბე
და ჩემი კუბო ბალდახინით მიქონდათ ვირებს.

რაჟდენ გვეტაძე

## ანტიურ პოეტებს.

**პასუხად სიულლი პრიუდომს.**

თქვენ წმინდა გული ღვთაებრივი ცეცხლით გეწოდათ,
თქვენ შუქსა ჰფენდით ჟამთა დენის ულრან ხვეულებს
და პოეტებიც დიდ სახელად მისთვის გეწოდათ
თქვენ, ო, მართლაც რომ მირონცხებულთ და კურთხეულებს!

გიყვარდათ მთვარე და წითელი ვარდის კონები,
და გაზაფხულზე რომ უმზერდით ქალებს და ბალებს,
ამაღლებული უმხურვალეს ზეშთაგონებით
მზიურ სტროფებით გადუშლიდით მრავალ თაბახებს.

ბრბოში მოსჩანდით ვით ლომები ცხვრების ფარაში,
და შედრკებოდა თვით დესპოტთა მკაცრი მხნეობა,
როს თქვენი რისხვის აზვირთებულ ნიაგარაში
კისერს იტეხდენ ბოროტება და უზნეობა.

ჩვენ კი, საბრალო მემკვიდრენი თქვენი დიდების,
ვართ იმდენი, რომ პანთეონში ვერ დავიტევით.
თქმა ნაწამები და რითმები ნათალლითები
ბეჭედს ატარებს უიმედო გარდავლინების.

ჩვენს გულ არ ათბობს პოემები არ დაწერილი,—
ტვირთი ამგვარი მათ უდროოდ დაასნეულებს,—
მაგრამ ყოველი სასაცილო გრძნობის ფერილი
უბადრუკ ლექსად ემატება ჩვენს მჭლე რვეულებს.

ჩვენ წარსულისკენ მოწიწებით არ ვიხედებით·
ახ, მე იმისი რატომ მაინც არ მომერიდა,
რომ პოეზია წამოსული თეთრ ჰომერიდან
თავაწეული მოდიოდა მაღალ ქედებით!

აწ კი დაღლილმა, ამდენი ხნის ნაამაგარმა
თავი დაუკრა ბებერ მიწას ჰლექის ხვეღებით.
ო, როგორ მინდა, რომ გასრისოს ფეხმა მაგარმა
დღეს მის ტაძარში თავმოყრილი ჰიაყელები!

კონსტ. ჭიჭინაძე

## ჩქარი დავიწყება

უდაბნო დასკდა ლაჟინებში სილაზე ცვენით,
გველის ფრთხიალი დაბინავდა სარკოფაგებში.
დაშრენ თვალები წამწამებზე ცრემლში დაწვენით,
და მგელი ღამე აიმართა ყვითელ ბაღებში
მუხლმოკვეთილი სიყმაწვილე ატირდა თეთრად,
მტრედებს მოშივდათ ალმასები დასცვივდა ქვებზე
დარჩა კუბოში დავიწყება სიკვდილის მეტრად
დალუსმულ ტკივილს მთებს აცლიან სილიან ყბებზე.
დაძლენ ყვავები და ყორნები ჰყივიან ქარში
იალბუზს ახ ჩრობს მარტოობა და სისხლის წვეთი.
ატირდა ისევ სინანულში სიკვდილის მარში,
ხმება მზის თვალზე დაგლესილი ყინვის ნაკვეთი.
ჩქარია წუთი და სოფელი გატეხილ კეფით.
მორჩა ყველაფერს მოეღება ბოლო სიყვითლით.
დარჩება თვალი სევდიანი ფრთების აკრეფით,
უეცარ შიშის გძელ ღამეეს შიშით მივითვლით.
აკმევს ლოცვები სურნელებას უკანასკნელად.
ცას შენატრიან ზღვა თვალები რომ ინაცრება.
დაგვრჩა ობლობა და არავინ ჩვენდა სახსნელად.
არ სჩანს და გულის ზღვათ დუღილი აღარ დაცხრება.
ვიკვნესებთ მუდამ გადაგვქრება ხელებზე კანი
საოცარ ალერსს გძელ ღამეებს შიშით გავყვებით
ვიწროა ხვრელი და კუნჭულში ბნელი საკანი,
დაგვახრჩობს ქარში და საფლავებს დასილავს ქვებით.

ლადო მაჭავარიანი

## პონტოს.

**კარი მეორე.**

მაგარ ნისკარტით დადის ყვავი ბალახებს შორის,
მედეას ცრემლებს ფირუზებად ეძებს სილაზე…
უცებ ხომალდი ღრუბელივით გაჩნდება შორით
და მოაქვთ ბედე ქაფიანი მუხლ მაგარ ლაზებს.

ძლიერი მკლავი აჩენს ზღვაში სილიან ორმოს,
ამ სიჩუმეში მედუზები სდევენ იალქნებს…
დაამტვრევს ფიცრებს ძარღვიანი ათასი შტორმი
მოსჩანა ჩრდილი ბალახების და სირაქლემის.

აპყრობილ ხელებს გადარეცხავსი ბევრ ტაროსი!
ტროპიკებიდან მოდის წვიმა მტრედების გუნდად.
იქნებ გრიგალმა კიდევ სადმე გადაგვატაროს
ასეთი ბედი შენს მეზღვაურს ბევრჯელ მოუნდა.

იალქნის თავზე იღიმება მთქნარება დილის
ცხელი ბორიო ზღვის სილურჯეს წაიღებს მოთქმით.
როს გაუთბება წვანე ტანი ბებერ კროკოდილს
დაალბობს ქვიშას მოცლის წვენით მხურვალე ორთქლით.

აზოტის სუნთქვა აფართოვებს სოველ იალქნებს
ჰაერის ჭვრეტით დაიღლება ჩრდილი პალმების!
მლაშე კენჭები დაშორდება ნაპირებს ნაქებს —
დადგება ჟამი უხალისო გამოსალმების.

ვიქტორ გაბესკირი.

## ქრონიკა

**ქართული დრამა.**

რუსთაველის თეატრში განზრახულია დასადგმელად შემდეგი ახალი პიესები: „მარაო ლედი უინდერმიერის" ოსკარ უალდისა, დასდგამს რეჟისორი ალ. ახმეტელი. „მაკბეტი"—შექსპირის, დასდგამს მიხეილ ქორელი, მაკბეტის როლს შეასრულებს ალექსანდრე იმედაშვილი. კოტე მარჯანიშვილი სდგამს შექსპირის „ჰამლეტს", ჰამლეტის როლს შეასრულებს მსახიობი გიორგი დავითაშვილი.

დაიწყო რეპეტიციები ვერფელის პიესის „სარკის ადამიანი", რომელსაც სდგამს კოტე მარჯანიშვილი.

**პროფ. გრიგოლ წერეთლის ლექცია.**

1 მარტს, პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორმა გრიგოლ წერეთელმა საიკითხა ლექცია „ალკეი და საფო". ლექციას ბუარებელი ხალხის დაესწრო.

**მსახიობ ალიხანიანის იუბილე.**

7 მარტს, რუსთაველის თეატრში გაიმართა სომეხი არტისტის—ალიხანიანის იუბილე.

**რუსული აკადემიური დრამა.**

რუსული აკადემიური დრამის თეატრი პირველ შემადგენლობით დაიხურა. ეხლა მოხდა რეორგანიზაცია გამგეობის, რომელშიაც შედიან იგნატოვი, ალექსანდროვი და რადლინი. რეჟისორად მოწვეულია გლაგოლინი და ძველებიც.

ამზადებენ დასადგმელად „სტენკა რაზინს" და „ცხვრის წყაროს".

**ა. ამფითეატროვის გარდაცვალება.**

იტალიაში ღრმა მოხუცობაში მოკვდა ცნობილი რუსი ჟურნალისტი ა. ამფითეატროვი. ა. ამფეთიატროვი დოროშევიჩის შემდეგ საუკეთესო ჟურნალისტი იყო რუსეთში. თავის ახალგაზრდობის დროს ის მუშაობდა ტფილისში და იყო პირადი მეგობარი ნიკო ნიკოლაძის, რომლის შესახებაც მას აქვს დიდი დაფასების წერილები დაბეჭდილი.

განსვენებული ცარიზმის დროს ითვლებოდა ემიგრანტად, მხოლოდ უკანასკნელად რევოლიუციის წინ დაბრუნდა რუსეთში და ხელმძღვანელობდა ამერიკანულ ტიპის გაზეთს „Русская воля"-ს. ამ ბოლო დროს ხელმეორედ გადასახლდა იტალიაში, რომელსაც თავის მეორე სამშობლოთ სთვლიდა.

ამფითეატროვის შვილი ცნობილი ფაშისტია და მონაწილეობას იღებს ფაშისტების ყველა გამოსვლებში. თვითონ ა. ამფითეატროვმა ამასწინად დაბეჭდა წერილი, რომელიც შეიცავდა ფაშიზმის აპოლოგიას.

რუსეთის საბჭოთა გაზეთები, მიუხედავად იმისა, რომ ა. ამფეთეატროვი იყო სულის ჩამდგმელი ემიგრანტულ თეთრი პრესის მაინც აღნიშნავენ რომ ამფითეატროვი იყო ნიჭიერი ჟურნალისტი მაგრამ მისი ლიბერალიზმი დღეს მხოლოდ გულუბრყვილობას იწვევსო.

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში**

კვირას, მარტის 4-ს, დილის სრულ 11 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქუჩა № 13) შესდგა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც წაიკითხეს მოხსენებები: 1) ლეონ მელიქსეტ-ბეგი „ახალი მასალები ტფილისისა და სომხეთის ისტორიისათვის" და 2) პრ. კ. კეკელიძე—„ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები."

კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიანთ.

## პოეტები სოფლად

ს. კიცხში კულტურული საზოგადოებასთან არსებულ ლიტერატურულმა სექციამ ლადო მაჭავარიანის და სავლე აბულაძის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა. სისტემატიურად იკითხება: რეფერატები, მოხსენებები და ლექციები ლიტერატურიდან. ამისათვის მოეწყო „ლიტერატურულ ოთხშაბათი" მუშაობა დაიწყო 1923 წლის 7 თებერვლიდან. პირველი რეფერატი წაიკითხა ლადო მაჭავარიანმა „ილია როგორც პოეტი". რეფერატმა დიდი კამათი გამოიწვია. საწინააღმდეგოთ ილაპარაკეს სავლე აბულაძემ, აბაშიძემ, დ. აბულაძემ და გ. ორჯონიკიძემ.

14 თებერვალს დ. აბულაძემ წაიკითხა რეფერატი ნიკოლოზ ბარათაშვილზე. თავმჯდომარის წინადადებით რეფერატის დაწყებამდი საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ახალგაზდა პოეტი შალვა კარმელის ხსოვნას.

21 თებერვალს სავლე აბულაძემ წაიკითხა მოხსენება ვაჟა-ფშაველაზე, მოხსენებამ გამოიწვია კამათი. ილაპარაკა ლადო მაჭავარიანმა.

28 თებერვალს ლადო მაჭავარიანის მოხსენება „ბესიკი".

8 მარტს გ. ორჯონიკიძის მოხსენება „აკაკი" მზადდება ლადო მაჭავარიანის მოხსენება: „ა. ყაზბეგი" პ. მაჭავარიანი, დავით კლდიაშვილი.

---

აილეთ რომელი მოთხრობაც გსურთ, და ყველგან შეხვდებით ბუნების ასეთ აღწერას. აქ არ არის არც კლდეთა ფერებით ღრმა განცდების აფორიაქება, არც მთების სიდიადით გამოწვეული შიში თუ გაოცება, არც ფანტასტიკა ამ გაყინულ ქაოსის. და გიკვირს, რომ ადამიანი, რომელიც ასე შეზრდილი იყო მთასთან, რომელიც მუდამ მის კალთებზე ფიქრობდა და განიცდიდა, მაინც ასე გარეშე მაყურებლად დარჩა, და შორიდან მაყურებლად. ეს თავისთავად სერიოზულ პსიქოლოგიურ ამოცანას შეუდგენს, თუმცა მე ამ ამოცანის ახსნა ასე მეჩვენება. ყაზბეგი სულ სხვა ქვეყნით იყო გატაცებული, და ბუნება მას სულაც არ უნდა მოეხსენებინა. ისევე, როგორც მისი გმირი მათია, („ელგუჯა",) რომლის შესახებაც ყაზბეგი ამბობს:—„ასე ჩაფიქრებული იყო და მისციებოდა ერთს ალაგს. იქნება ის გაიტაცა ბუნების მშვენიერმა სურათმა, რომელიც იმის თვალ-წინ იხატებოდა? არა. ის იმ დროს არც იმ ამაყად აყუდებულ მთებსა ჰხედავდა, არც მშვენივრად გადაფენილს ტყეებს, არც ნაჩხატებს, რომელიც ჩხრიალით თეთრ რძესავით ქაფდებოდა, გადმოდიოდა კლდეებიდან და ათას-წინწკლებად იფანტებოდა"... თვით ავტორიც ასევე ჩაფიქრებული იყო და მისციებოდა ერთს ალაგს, სადაც ძალა და სიმართლე ერთმანეთს შესჭიდებოდა, და ეს უკანასკნელი ძლეულიყო. ეს არის ჩემის აზრით ერთად ერთი პასუხი. თორემ ყაზბეგს შეეძლო უფრო მაგარი და გამძლე სიტყვების მოძებნა ბუნების დასახატად. აბა ნახეთ, როდესაც ბუნება ერთგვარ უნისონად უერთდება მის კალთებზე გამართულ ხევის ტანჯვას, ალ. ყაზბეგი რა შეკრულ ტყვისავით ფრაზებს ისვრის: „გაგულისებული ნისლი უშიშრად ამოდიოდა დედა-მიწიდგან, და ოხშივარსავით ეფინებოდა მინდორს"...

„ზარის ხმა, დანოტიებულს, გაჟღენთილ მძიმე ჰაერში როგორღაც მწუხარედ ჟრიალებდა. ნახეთ, როდესაც ბრძოლით ანთებულ იაგოს და კობას, რომელთაც ნუნუ მიჰყავთ, ავტორი ამოაფარებს კლდის კიდობანს და ასეთ სურათს აჩვენებს: ფულურო კლდეები იშლებიან, მოგორავენ, ელავენ, და ქვევით, ხევში, კვლავ კლდესავით ედებიან ერთმანეთს. ამ ქვებს ზედ ეფარება შავი ქვიშა და სხ... უცბად კლდიდან გადმოსკდება ხრიალით წყალი, და თავისით ამბობს: „იქამდის ძლიერი და ჩქარი იყო იმისი მსვლელობა, რომ ვერა ქვა, ვერა კლდე ვერ აყენებდა იმის მდინარებას, და წყალი, ქვიშა, აუარებელი ლოდები, რომელიც თითო კლდედ ჩაითვლებოდა, არეული და გაზელილი, ერთმანეთში, მიეშურებოდა თავქვე მიგროვებულ ქვიშასა და ქვის კლდისაკენ. იქ შემაგრებული კედელი გაუძალდებოდა წუთს და ბოლოს, ისიც დამორჩილებული, გაერეოდა ახლად და ახლად მოსულ ძალას და დამყარებულის ხუილით, ქვების ერთმანეთზე ლესით, ფშვნეტით და ხრიალით ჩადიოდა თერგში, რომელსაც თითქოს კისერზედ შემოიგდებდა; თერგიც ებრძოდა თავის მხრით, ახტებოდა ზედ, გადადიოდა"... აი ეს გამძაფრებული დინამიკა იზიდავს მას, და აქ ლესავს იგი ბრძოლის გუნებას. ამას ამბობს კიდეც:—„კაცმა უნდა ჰნახოს ეს ორი ძალა, ჯვარედინად შეტაკებულნი ერთმანეთს, უნდა ჰნახოს იმათი ბრძოლა, აქაფება, იმათი ხრიალი, ჩქეფა და ტალღების ჰაერში სროლა, რომელიც ათას ნამქერად რამდენიმე საჟენის სიმაღლეზედ იფანტება ჰაერში,— რომ შესძლოს წესიერად დაფასება ამ დიდებულ სურათისა. აქ თქვენ ჰხედავთ ძალას, ტირილს, კვნესას, მუქარას, ღრიალს, ბრძოლას ერთმანეთში არეულს და იქამდისინ მიჰყევხართ, რომ რაღაცა გულის კანკალით თითქოს თქვენც გინდათ ჩაერიოთ ამ უცნაურ ბრძოლაში!" („მამის მკვლელი") ბუნებას იგი კიდევ ახსენებს მაშინ, როცა მისი გმირებისთვის ბარიკადად იქცევა და ინახავს. აბა ნახეთ მაშინ როგორი გატაცებით სწერს. მაგრამ ციტატები კმარა. ყაზბეგი დამოუკიდებელ ბუნების მხატვარი არ არის. იმ დიდი ნატურის წინაშე იგი მუხლს არ იდრეკს, რადგან არა სწამს ეს დიდი Naturmort—ი. სტატიკაში გაქვავებულ ბუნებას იგი ვერ გრძნობს თუ ვერ იცლის საიმისოდ, და მოძრაობის სტიქიაში შეჭრილი, ბრძოლაზე დაფიცებული მხოლოდ იმ ბუნებისთვის იხსნის პირს ხანჯლით, რომელიც ამ დიდი ბრძოლის დამტევი და გადამტანია. ბრძოლა ალ. ყაზბეგის სტიქიაა, და ნამეტ სიყვარულით ის უყვარს, ვისაც ეს ბრძოლა „კისერზედ ჰქონდა შემოგდებული". ეს „ხევი" იყო.

***

ალექსანდრე ყაზბეგს იზიდავდა ხევის ტრაგედია.

მისი მხატვრული მზერა იტანჯებოდა იმ სანახაობით. ხალხი, რომელიც ცას დაახლოვებოდა, ირყეოდა ადგილზე უნებურად, და გარედან შემოწოლილი უსამართლო ძალა უმართავდა შეგინების სისხლიან ნადიმს.

ეს ტრაგედია ალ. ყაზბეგს მეტად ენერგიულად აქვს გამოთქმული ხევის ბერ გოჩას სიტყვებში, რომელიც თავის ახალგაზრდა შვილს, ონისეს მიმართავს:—„არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა, და დამარხულა, სადაც მათი ძვლები ჩაფლულა, იმას გედავებიან და არ დაანებო"... ამ სიტყვებშია მოცემული ალ. ყაზბეგის შემოქმედების დედა.

ალ. ყაზბეგს არ შეეძლო ფატალურად აჰფარებოდა შეუმჩნევლობის ან გულგრილობის კედელს. იგი მაღლა ადიოდა, და შემოქმედების კოშკიდან დასცქეროდა ძირს დაგდებულ და შეგინებულ ხევის დროშას. მის არტისტულ თვალთ წინ გაშლილი იყო ჯერ სისხლ შეუმშრალი ბრძოლის ველი, სადაც გმირთა ცხედრები ეფანტა. „ზოგი მათგანი, ახლად აშლილი წვერ-ულვაშით, თითქოს გაღიმებული პირი-სახით დასცინოდნენ ხალხის ამდენ უსამართლობას და ველურ ქცევას. ზოგს ვაჟკაცურის მკერდიდან ჩამოეწყვიტათ საკინძი, და თითქოს განგებ, გამოეჩინათ თავ-თავიანთი ვაჟკაცური ჰრილობა." („ელგუჯა".) და ამ ხალხის ფანტასტიკის თუ ფანტასტიკის ხალხის ჩვენება მთელ ქვეყნის დასანახად, ეს იყო ალ. ყაზბეგის შემოქმედებითი ამოცანა. იყო დრო, როცა ეს ხალხი, თემის სახით პიროვნებად ქცეული, იყო თავისთავის, ბუნებასთან სულ ახლო მისული, მისებრ წმინდა, გამძლე, მარტივი და იმავე დროს რთული. იყო როგორც პირველ- ყოფილობა, შინაგანი ძიებით ამაღლებული და შინაგანი მიგნებით განმტკიცებული. იყო როგორც თავადჩასახული და მწიგნობრობის გარეშე შექმნილ კულტურის ნათელი მატარებელი. მაგრამ ისტორიას თითქოს შეურაცხყოფად ეჩვენა მის გარეშე დარჩენილთა არსებობა და ასე მაღალი. თითქოს საზოგადო კულტურას შერცხვა ამ ავტონომიური ცოტა ხალხის დიადობის, რომელნიც მისით თავ-მომწონებს გამოადგებოდათ გვირგვინად, და ცივილიზაციამ მოაყენა თავისი კაცების დიდი ჯარი. ჰდებოდა ლერმონტოვის მუქარა, მყინვარისადმი მიმართული. მოდიოდა ახალი კაცი, რომელსაც სწადდა კლდეთა კბილებზე ორთქლ-მფეთქავ მლვიმეთა აშენება, ხეობის გულში წერაქვის დარტყმა, მთის მკერდის გატეხა, საშინელ გზებით დასერვა და ოქრო-თუჯის სამეფოდ გადაქცევა. ამ აზრით მოდიოდა ეს ცივილიზაციის კაცი, ამ შემთხვევაში რუსეთი, და იმავ ცივილიზაციის სახელით ანადგურებდა ყოველივეს. ოქრო და თუჯი.

„ქვეყნად მთელ ხალის მოდგმას სწამს ერთი სამღვთო კერპი." ეს კერპი დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. თემს, ხევს უნდა თავი მოეკლა, თორემ მოჰკლავდნენ. ადგილი უნდა დაეცალიერებინა, ცივილიზაციას სჭირდებოდა. თემმა არჩია ისევ თავი მოეკლა, მაგრამ ისე, რომ სახელი გასძლოლოდათ იმ ქვეყანაში. ამ თვით-მკვლელობას ის თვისება აქვს, რომ უკასკნელი ტყვია არის გმირისა, ყველა სხვა კი მტრის. ამ საშინელებას მოგვითხრობს ავტორი: როგორ ჰკლავდნენ ხევს და ვინ.

მძიმეა ეს თემა და მტკივნეული. მიტომ არის, რომ ყაზბეგის ყველა მოთხრობაში ისე აქვს ხმა გამძაფრებული, რომ გეჩვენება, თითქოს იგი ჰკივის რაღაცას, სიტყვით გამოუთქმელს, მოფიქრებულს კი არა, გზნებით განცდილს, და ჰკივის იმიტომ კი არა, რომ რაშიმე იყვეს დაინტერესებული, არამედ მიტომ რომ გულის ჭრილობიდან სისხლი ელვრება, ცრემლი არა აქვს და წყევლასაც ველარ ამბობს, სპაზმები აღრჩობენ.

იგი ანთებით სწერდა, ექსპრესიით. სწერდა მომაკვდავის შესახებ, რომლის სიცოცხლეს მხოლოდ ოცნება დაჰპატრონებოდა. მიტომ არის, რომ მის ნაწერებში ისმის მეოცნების გამუდმებული ფრთების მტვრევა და სასო-წარკვეთილი ძახილი. კვდებოდა ხალხი ღვთისკენ მიმავალი, ძალას შლიდა ხალხი ღმერთს გადამდგარი, ან რომელსაც ღმერთი არასოდეს არ ჰყოლია. ასე სწამდა ალ. ყაზბეგს.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

დასასრული იქნება.

---

სარედაქციო კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს
## ცენტ. სავაჭრო სამმართველო

აცხადებს საყურადღებოდ ყველა დაწესებულებათა, წარმოებათა და კერძო პირთა, რომელთაც მართებთ ვალი ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოსი, რომ თუ მათ, ამა წლის 10 მ რტამდის არ გადაიხადეს ვალი, აღებული მათ მიერ საქონლის წაღებით, მათი ვალი **გამოანგარიშებული იქნება ოქროთი** ქართული ბონების ოქროზე გადატანით გაცემის დღეს.

ცენტრ. სავაჭრო სამმართველოს მმართველობა.

---

## საჯარო ვაჭრობა

ამ.-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველო

7 მარტს, დილის 10 საათზე, ორთაჭალის ყოფ. ტამამშევის წისქვილში, ნიშნავს

### ზეპირ საჯარო ვაჭრობას
### მარცვლეულის და ფქვილის

8 ათას ფუთამდე ქატოს, ანაცერის, ღერღილის და სხვა ასეთების გასასყიდათ.

დათვალიერება შეიძლება ადგილობრივ საჯარო ვაჭრობის დღეს.

---

თანახმად ამიერ-კავკასიის

## ფინსახკომის რწმუნებულის ბრძანებისა № 18,

დათხოვნილია სამსახურიდან ამა წლის 15 თებერვლიდან სასინჯო პალატის მსინჯველი

### გრიგოლ მალაზონია,

როგორც არა სასიამოვნო პიროვნება და ყოველი მანდატი მის სახელზე გაცემული გაუქმებულად ითვლება.

ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართ. საქართ. საქმეთა მმართველი გ. ელისაბედაშვილი.

სასინჯო პალატის გამგე ა. ნიშნიანიძე.

---

## ამიერ-კავკასიის
## სოც. საბ. ფედერატ. რესპუბლიკის
## ფინანსთა სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ საბჭოთა რუსეთის 6 პროც.-ან მომგებიან ოქროს სესხზე ხელის მოწერა გრძელდება შემდეგ პირობებში:

გამოცემული იქნება სესხის 5 მანეთის ღირებულების ობლიგაციები ერთი მოგების უფლებით და 25 მანეთიანი 5 მოგების უფლებით.

პირველი გათამაშება მოხდება 1923 წ. 1 მაისს.

თითო მოგება იქნება:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | მოგება— | 100,000 | მან. | ოქროთი |
| 2 | „ — | 50,000 | „ | „ |
| 3 | „ — | 25,000 | „ | „ |
| 5 | „ — | 10,000 | „ | „ |
| 10 | „ — | 5,000 | „ | „ |
| 50 | „ — | 1,000 | „ | „ |
| 100 | „ — | 500 | „ | „ |
| 1000 | „ — | 200 | „ | „ |
| 2000 | „ — | 50 | „ | „ |
| 10000 | „ — | 20 | „ | „ |

სესხის დაფარვა დაიწყება 1828 წლის 1 დეკემბრიდან და იწარმოებს 5 წლის განმავლობაში ყოველ წლიური ტირაჟით ნომინალური ფასით ოქროს კურსის მიხედვით.

### ხელის მოწერის დროს ნებადართულია ნაწილ-ნაწილად შეტანა,

ამასთანავე პირველად უნდა იქნას შეტანილი 50 პროცენტი, დანარჩენი 50 პროცენტი კი ერთი თვის შემდეგ. მუშა-მოსამსახურეთა, წითელ-არმიელთა, კოოპერატიულ გაერთიანებათა და პროფკავშირების წევრთათვის

### ნებადართულია კოლექტიური ხელის მოწერა

შეღავათიან კურსის მიხედვით 95—100 მიმდინარე დღის 15 რიცხვამდე

ცალკე დაწესებულებებს და პირთ (კონტრ-აგენტები), რომელთა დახმარებით გაიყიდება სესხის ობლიგაციები, ეძლევათ განსაკუთრებული ჯილდოს სახით შემოსული თანხის 20 პროცენტი.

სესხის ობლიგაციები მიიღება ნაღდის სახით ყველა სახაზინო იჯარათა აღების დროს და აგრეთვე აქციზების ბაჟების გადახდის უზრუნველსაყოფად.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო საკრედიტო სამმართველოში.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

---

## ჭიათურის შავი ქვის მრეწველ-სააქციო საზოგადოების
## გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანახმად აქციონერთა მე-4 არაჩვეულებრივი საზოგადო კრების დადგენილებისა, ყველა აქამდე გაცემული საზოგადოების მიერ აქციების

### დროებითი მოწმობები

დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა,

### ითვლება
### გაუქმებულად

გაუქმებულ დროებითი მოწმებების ნაცვლად სააქციო საზოგადოების გამგეობა გასცემს

### ახალ დროებით მოწმობებს,

რომელთა დარიგების წესი და დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

ს. ს. გამგეობა.

ტფილისი, პოლიტ-განათლების მთავარი მმართველობა № 191—1000 ცალი.

სტამბა სამხედრო კომისარიატისა.